პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1944 წ. № 28 (8922). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ ჯოზეფ სტალინს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა მათს პლაცდარმზე ქალაქ ნიკოპოლის სამხრეთით დნეპრის მარცხენა ნაპირზე, ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში მძიმე დამარცხება მიაყენეს მოწინააღმდეგის შვიდ ქვეითს დივიზიას და მიადგნენ მდინარე დნეპრს პლაცდარმის მთელ სიგრძეზე.

ამ ოპერაციის შედეგად ჩვენმა ჯარებმა სავსებით უყვეს ლიკვიდაცია გერმანელთა ოპერატიულად მნიშვნელოვან პლაცდარმს დნეპრის მარცხენა ნაპირზე 120 კილომეტრი სიგრძით ფრონტზე და 35 კილომეტრით სიღრმეში.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი—ქალაქი ქამენკა და დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

გერმანელთა ნიკოპოლის პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ცვეტაევის, გენერალ-ლეიტენანტ ლელიუშენკოს, გენერალ-მაიორ შერებინის, გენერალ-მაიორ ბელოვის, გენერალ-მაიორ ბოგრუხოვის, პოლკოვნიკ ვლადიჩანსკის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კრასნოპევცევის არტილერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვის, პოლკოვნიკ კოზბუტის ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-მაიორ სავიცკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ფილინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კუზნეცოვისა და პოლკოვნიკ პრუტკოვის მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ნიკოპოლის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 8 თებერვალს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს მტრის მნიშვნელოვანი პლაცდარმი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა ნიკოპოლის პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 8 თებერვალი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ მაღინოვსკის

არმიის გენერალ ჯოზეფ სტალინს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარების ფლანგიდან ხელშეწყობით განვითარეს შეტევა, დაამარცხეს გერმანელთა ნიკოპოლის დაჯგუფება და დღეს, 8 თებერვალს, იერიშით დაიკავეს ქალაქი ნიკოპოლი—უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი.

ქალაქ ნიკოპოლის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ჩუიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ შლემინის, გენერალ-ლეიტენანტ ლელიუშენკოს, გენერალ-მაიორ კუპრიანოვის, გენერალ-მაიორ გლაზუნოვის, გენერალ-მაიორ კარამიშევის, გენერალ-მაიორ გოლოსკოს, გენერალ-მაიორ აფანასიევის, გენერალ-მაიორ ზდანოვიჩის, გენერალ-მაიორ სოკოლოვის, გენერალ-მაიორ ვაზინის, პოლკოვნიკ კამინინის, პოლკოვნიკ ფომიჩენკოს, პოლკოლოვნიკ ზავიალოვის, პოლკოლკოვნიკ სკლიაროვის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნედელინის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლევინის არტილერისტებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სუდეცის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტოლსტიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს მფრინავებმა და მაიორ ზასიმუკის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ ნიკოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ნიკოპოლის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 8 თებერვალს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ნიკოპოლი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ნიკოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 8 თებერვალი.

ბრძანებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ა. დოგრუხოტოვასა და მ. გ. დოგრუხოტოვას ორდენებით დაჯილდოების შესახებ

თვითმფრინავის ეკიპაჟის სიცოცხლის გადარჩენისათვის და იმ დახმარებისათვის, რაც გაეწია წითელი არმიის დაბრილ მებრძოლებსა და ოფიცრებს მოწინააღმდეგის ზურგში დაჯილდოებულ იქნას:

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

ვერა ალექსანდრეს-ასული დობროხოტოვა

წითელი ვარსკვლავის ორდენით

მარგალიტა გაბრიელის-ასული დობროხოტოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 5 თებერვალი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-საფრანგეთის ფინანსიური შეთანხმებისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების დადება

ლონდონი, 8 თებერვალი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ანდერსენმა დღეს თემთა პალატაში განაცხადა ინგლისის მთავრობისა და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მიერ ფინანსიური შეთანხმებისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. ანდერსენმა აღნიშნა, რომ ლაპარაკი შეთანხმებაზე, რომელიც დადებულია ომის დროს, მაგრამ იმედი გამოსთქვა, რომ, ეხადაი, ეს შეთანხმება ხელსაყრელ ბაზის წარმოადგენს მომავალი ურთიერთობისათვის. ანდერსენმა აღნიშნა, რომ შეთანხმების ფინანსიური ნაწილი ეხება ინგლისის ნაციონალურ ბანკსა და ინგლისის ბანკს, ერთ მხრივ, და ეროვნული კომიტეტის ფინანსურ ორგანოებს, მეორე მხრივ. ინგლისის ბანკი ეროვნული კომიტეტის ანგარიშზე ინგლისის ბანკში ანგარიშებზე ინგლისის ბანკში ანგარიშებზე ინგლისის ბანკში ანგარიშებ

ᲒᲐᲕᲠᲔᲙᲝᲗ ᲤᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲚᲘᲓᲐᲜ!

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“ ᲛᲝᲚᲬᲘᲜᲐᲕᲘ, 8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ერთი თვის წინათ მთელმა რიგმა ფინურმა გაზეთებმა დაბეჭდეს ცირკულარული სტატია, რომელიც ლინკომიესს სამთავრობო კოალიციური პარტიის ხელმძღვანელობის ნაკარნახევი იყო. სტატიაში ნათქვამი იყო: „რამდენადაც ომი უფრო გრძელდება, იმდენადვე მეტად იხარჯება საბჭოთა კავშირის ძალები და იმდენადვე უფრო მნიშვნელოვანი და გადაშეყვეტი(!) გახდება ჩვენი საკუთარი სამხედრო ძლიერება მტრის დასუსტებულ ძალებთან შედარებით. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა ვინანოთ, რომ ომი გრძელდება“...

მალე, ძალიან მალე ფინელი დამპყრობლები იძულებული იქნებიან ძლიერ „ინანონ, რომ ომი გრძელდება“. ჯერ-ჯერობით კი ჰიტლერის ფინელმა მოკავშირეებმა ერთხელ კიდევ აშკარად ცხადაყვეს, რომ ისინი ძალზე ეხლაუჭებიან თავიანთ ავადსახსენებელ დამპყრობლურ გეგმებს და ახლაც კიდევ ოცნებობენ „დიდ ფინეთზე“ საბჭოთა მიწა-წყლის დაპყრობის ხარჯზე.

ცნობილია, რომ რიუტი-მანერჰაიმის პატარა ფინეთმა დიდი იმპერიალისტური მადა გამოიჩინა. ტანდაბალს მას ნიანგის ხახა აქვს, რომელიც მას არაერთხელ დაუღია. ის მიზნები, რომლების გულისთვისაც მან ომი დაიწყო, შეუერთდა რა ჰიტლერულ „ლაშქრობას აღმოსავლეთისაკენ“, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენენ. ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 1942 წელს გამოცემულ ოფიციალურ ბროშურაში საკმაო სიცხადით არის ნათქვამი, რომ „ფინეთი იბრძვის არა უბრალოდ და არა მარტო თავისი უშიშროებისათვის, არამედ ამ ბრძოლას ეწევა ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. იალმარ იოჯოლამ თავის გახმაურებულ წიგნში, რომელიც ბერლინში გამოიცა, ეს „არა უბრალოდ და არა მარტო“ მეტად გარკვეულად გაშიფრა: „საბჭოთა კავშირმა, — წერდა იგი,—ფინეთს უნდა გადასცეს აღმოსავლეთი კარელია და კოლის ოლქი ზედ იმ ახალ საზღვრამდე, რომელიც წყლის იმ გზის სამხრეთით და აღმოსავლეთით გადის, ლადოგის ტბას რომ თეთრ ზღვასთან აერთებს“. სხვა ფინელმა „მოღვაწეებმა“ საბოლოოდ აიშვეს თავი და პრეტენზიები განაცხადეს ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქზე. ასეთი მიზნებით ჩაერია ფინეთი ომში და შეუერთდა ჰიტლერული გერმანიის თავდასხმას სსრ კავშირზე, ან, როგორც მოხდენილად სთქვა ფინეთის სეიმის თავმჯდომარემ ჰაკილამ, „ჩაებღაუჭა მას რეალურ-პოლიტიკური აჭიანობით“.

თავის ბრძანებაში ომის დაწყებისას ჰიტლერის ხელქვეითმა მანერჰაიმმა მიზნად დასახა კარელიის დაპყრობა და „დიდი ფინეთის“ შექმნა. ფინელი სოციალ-დემოკრატები ხტუნვით გაეფეინენ ჰიტლერს და თავიანთ გაზეთ „სუომენ სოსიალი-დემოკრაატში“ გამოვიდნენ მოთხოვნით „გადავაბიჯოთ ისტორიულ საზღვრებს და დავიპყროთ შორეული რაიონები“.

სასტიკმა დამარცხებებმა, რომლებიც გერმანიის ფაშისტურმა არმიამ განიცადა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, აიძულა ფინელი დამპყრობნი ენა დაეთრგუნლინათ. როგორც ჰიტლერული გერმანიის სხვა თანამონაწილენიც ძარცვაში, ფინელმა დამპყრობლებმა ჩირგვებისაკენ ცქერა დაიწყეს. ფინურმა ნიანგმა ცრემლები გამოიწურა და იწყო მტკიცება „თავისი განცალკევებული ომის შესახებ“, რომელსაც თითქოს საერთო არაფერი აქვს ჰიტლერულ ლაშქრობასთან. მაგრამ გულკეთილი მოხუცის ყალბი წვერი ცუდად ჰქონდა მიწებებული ფინელ ბანდიტთა სახეს—იგი ძალიან მალე მოძვრა. ფინური გაზეთი „აიან სუუნტა“ ამის შესახებ სწერდა: „დაე ყველგან გაიგონ, რომ ფინეთს არ შეუძლია და არცა სურს დაჰყაროს იარაღი ჯვარისნული ლაშქრობის ძლევამსილ დამთავრებამდე. ფინეთის არავითარ კერძო განცალკევებულ ომზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება“...

ომის პირველი დღიდან დღემდე ფინეთი მონაწილეობას იღებს ომში, როგორც ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე და თანაშემწე სტვისი მიწა-წყლის დაპყრობისა და ძარცვაში. საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც არ იცოდა იმას, რომ ფინელი დამპყრობნი ორ წელზე მეტია, რაც ავადაკობდნენ და ავადაკობენ საბჭოთა მიწა-წყალზე. საბჭოთა კარელიის მათ მიერ დაპყრობილ ნაწილში, ოთარაჭელი სისხლიანი ჭრილობა მიაყენეს ლენინგრადს, ჰიტლერელებთან ერთად არტილერიის ქვემეხებს უშენდნენ მის მოსახლეობას და ლენინგრადს ბომბავდნენ ჰაერიდან. ფინელი დამპყრობნი გერმანელებს ეხიბრებიან ზნეობასა და სისასტიკეში. მოშმა კარელია-ფინეთის რესპუბლიკიდან, რომლის ტერიტორიაც მანერჰაიმელმა მეფეთეებმა დიაპყრეს, ჩვენამდე მოდის ფინელი ბანდიტების მიერ ნაწამები საბჭოთა მოსახლეობის კვნესა და მოთქმა.

იმ დღეებში, როდესაც პასუხისმგებლობისა და საზღაურის შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა ფინელი ავაზაკების სისხლით გაუმაძღარ მადაზე, ისინი ცდილობენ დაჰფარონ სისხლის ლაქები თავიანთ ხელებზე. მაგალითად, ამას წინათ მათ შვედი ჟურნალისტები მოიწვიეს ფინელების მიერ დაპყრობილ საბჭოთა კარელიაში. მერე რა ნახეს ნეიტრალურმა ჟურნალისტებმა? „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი იანვრის ბოლოს გვიამბობდა, როგორ ნახა მან სამხედრო ტყვეთა ბანაკში... ქალები. ფინელებმა კარელიის ქალთა მოსახლეობა სამხედრო ტყვეებს მიაკუთვნეს! „შთაბეჭდილება უცნაური იყო: ჩვენ ვნახეთ გოგონები,—სწერს კორესპონდენტი,—მათი თვალები ანთებული იყო სიძულვილითა და აღშფოთებით“. „დაგენს ნიუჰეტერის“ კორესპონდენტი სწერს სხვა ბანაკზე, სადაც „დაპატიმრებულთა ნახევარი ქალებისა და ინვალიდებისაგან შესდგებოდა“. იგი გვიამბობს, თუ როგორ იხოცებოდნენ შიმშილით ბანაკებში ათასობით საბჭოთა ადამიანები. გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენში“ ნაამბობია იმ ფიზიკურ დასჯაზე, რასაც ფინელები ბანაკების მოსახლეობას აყენებენ. ლაპარაკია წკეპლებით ცემასა და ტყეპაზე.

დანიელი მწერალი ჰერსჰოლტ-ჰანსენი წიგნში „ომის კვალდაკვალ“ სწერს ფინელთა მიერ ოკუპირებული საბჭოთა კარელიის მდგომარეობაზე: „მე შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი კოლმეურნეობებს, სადაც დარჩენილი გლეხები იძულებული იყვნენ თავი მარტო კარტოფილითა და მარილით ეკვებნინ, —ისინი ჰუთს ვერ ეღირსნენ დამპყრობთაგან... გლეხები საშინლად შიმშილობდნენ. ვეუბნობ, რომ ვინმემ მოაბრუნოს მათი დარწმუნება, რომ ისინი „გათავისუფლეს!“... ხალხს, რომელიც „განთავისუფლებულია“ მანერჰაიმის ბრძანებით, ფინელებისა არაფერი არა სურს“... ჩვენი ძმების წამება ფინელი ავაზაკების მიერ დაპყრობილ კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შურისგებისა და საზღაურისაკენ მოგვიწოდებს. ჩვენ არ დაგვივიწყნია ისინი! წითელი არმია გერმანელ დამპყრობლებს მიერეკება უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყლიდან, იგი ამთავრებს ლენინგრადის ოლქის გაწმენდას და უკვე შეუდგა ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკის გაწმენდას ფაშისტური სიბილწისაგან, — იგი განდევნის ფინელ დამპყრობლებსაც საბჭოთა მიწა-წყლიდან!

ომმა ვერაფერი ვერ ასწავლა გამეხიებულ ფინელ იმპერიალისტებს. ისინი ებღაუჭებიან მათ მიერ დაპყრობილ მიწა-წყალს, ოცნებას ტერიტორიული გაფართოების შესახებ, ისინი ჯერ კიდევ სიზმრად ხედავენ „დიდ ფინეთს თეთრ ზღვამდე, ურალამდე, ენისეიმდე“. და ახლა ჰიტლერის წინაშე მხოხავი ეს ქვეწარმავლები აცხადებენ, რომ მათ სურთ „დაიცვან ფინეთი პეტროზავოდსკის აღმოსავლეთით“. ერთიც ვნახოთ და მათ იხილეს წითელი არმია, რომელიც სსრ კავშირს ზედ ჭელსინკთან იცავს!

საზღაურის ჟამი ახლოვდება. სამი დღის წინათ უკვე აგუგუნდნენ ფინეთის დედაქალაქის თავზე საბჭოთა თვითმფრინავების მძლავრი დაჯგუფებანი, გამანადგურებელი ბომბები უკვე ეყრება თავს ჰელსინკს. გამპარტაზანელი ხანძრები და აფეთქებანი თავიანთ საქმეს აკეთებენ დაე ჰელსინკის ნანგრეულები უწინარეს ყოვლისა თავს დაატყდნენ ფინეთის ფაშისტ მმართველებს!

აფთართა ღმერთი ტირილსა ჰგავს, მაგრამ იგი გულუბრყვილოებსაც კი ვერ მოატყუებს. ფინელებმა ფინელ ფაშისტ-მმართველთა ბანაკიდან უკვე ბევრი იწუწუნეს. მაგრამ ყველა ამ მოთქმაში გაისმის იმპერიალისტ მტაცებელთა ხმა: „ჩვენ არ უნდა ვინანოთ იმის შესახებ, რომ ომი გრძელდება...“ მერმე რა, თუ მათ არა სურთ სინანული დღეს, ხვალ ერთი-ორად ინანებენ ამას. ჰიტლერული გერმანიის თანამონაწილენი ძარცვაში სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ჰიტლერული არმიის მთავარ ძალებთან ბრძოლას შეუძლია საბჭოთა ხალხს გვერდი აუხვევინოს ფინელ დამპყრობლებთან ანგარიშის გასწორებისათვის, მათ ჯერ კიდევ იმედი აქვთ, როგორც ამას წინათ სწერდნენ ფინური პრესა, რომ „დიდი ომის ბანგრძლივობა შეიძლება დადებითი ფაქტორი აღმოჩნდეს იმ ძალებისათვის (წაიკითხე-ჰიტლერული ძალებისათვის), რომლებთანაც ერთად ჩვენ ვეცდებით წარმატებით დავამთავროთ ბრძოლა“. არ გამართლდება ეს იმედი! არ გამოვა „ბანგრძლივება“. ომის დასასრული წინასწარ გადაწყვეტილია ფინელი დამპყრობლებისთვისაც. ისინი ვერ შეილალებიან ჩარგვებში ნადავლიანად!

გავრეკოთ საბჭოთა მიწა-წყლიდან ფინელი დამპყრობნი! — ასეთია საბჭოთა ხალხის ხმა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ 10 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, 7 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). დღითი დღე, ყოველ საათობით სულ უფრო და უფრო ვიწროვდება რკალი ქალაქ ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით გარშემორტყმული გერმანელთა ათი დივიზიის გარშემო. ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც რკალის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში მოქმედებენ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, განდევნეს მოწინააღმდეგე მისი სიმაგრეებიდან დნეპრის ნაპირზე და უკუაქციეს ამ პოზიციების სამხრეთისაკენ. ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც განაგრძობენ შეტევას ამ სექტორში, მტრისაგან გასწმინდეს ტყის მნიშვნელოვანი მასივი და დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტებს.

მოწინააღმდეგეს სამხრეთიდანაც საგრძნობი ღარტყმებს აგემებენ. მაგალითად, გერმანელები მეტად შეუპოვრად იცავდნენ რაიონულ ცენტრ ოლშანას, რომელიც მათ წინააღმდეგობის ძლიერ კვანძად ჰქონდათ გადაქცეული. მიადგნენ რა სოფელს სამხრეთიდან, საბჭოთა მოძრავი რაზმები მტრის მაგარ თავდაცვას შეხედნენ. სარდლობამ გადასწყვიტა შემოვლითი მანევრი მოეწყო. მან ქვეგანაყოფთა ნაწილი სოფლის სამხრეთ მისადგომებზე დასტოვა იერიშების მოსაჩვენებლად და ძირითადი ძალები გაგზავნა ჩრდილო-დასავლეთიდან სოფლის გარშემოსარტყმელად. თითქმის სრული უგზოობის პირობებში საბჭოთა მეომრები სწრაფად და მტრისათვის მოულოდნელად შემოერტყნენ გარს გარნიზონს და ვაჭრობით მოსპეს იგი. დოკუმენტებისა და ტყვეების ჩვენებათა მიხედვით აქ განადგურებულია გრენადერთა რამდენიმე პოლკი.

სოფელ ოლშანისათვის ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს მარტო მოკლულთა სახით 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 23 ტანკი. 11 ქვემეხი. გარდა ამისა, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 160 ავტომანქანა, 14 ქვემეხი, 47 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, 10 სხვადასხვა საწყობი, საქონლის რამდენიმე ჯოგი.

ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს მტრის შეუპოვრობა სოფელ ოლშანაში, გაემართნენ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ზედ მიადგნენ გერმანელთა თავდაცვის სხვა დასაყრდენ პუნქტს. ბრძოლა აქ ჯერ გერმანელთა განსაკუთრებული შეუპოვრობით განირჩეოდა. მაგრამ ძლიერი საარტილერიო და სხვადამტყორცნო ცეცხლი, მტერი რომ დილიდან აწარმოებდა, შუადღისას მიწყნარდა. ეტყობოდა, რომ ჰიტლერელებს ქანცი უწყდებოდათ. ჩვენმა ნაწილებმა ისარგებლეს ამით და უფრო ძლიერ მიაწვნენ. გერმანელები უკვე უმთავრესად თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით უპასუხებდნენ. საბჭოთა მეომრები წინააღმდეგობის ცალკეული კერების იერიშებზე გადავიდნენ. ჰიტლერელები ჯერ კიდევ შეუპოვრობას იჩენდნენ, მაგრამ მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენი ქვეითები შეიპრნენ სოფლის ქუჩებში და მალე გასწმინდეს ისინი მტრისაგან. ამ ბრძოლაში ტყვედ წამოყვანილია 200-ზე მეტი ჰიტლერელი.

ქვეგანაყოფმა ლეიტენანტ კრავჩენკოს მეთაურობით კარგად დაზვერა მოწინააღმდეგის თავდაცვის სუსტი ადგილები და ღამის ერიშით უკუაგდო გერმანელები. მათ მიერ დაკავებული ზღუდიდან. უკანდახეულ ჰიტლერელთა სადღეისოდ გამოყოფილ იქნა რაზმი. ამავე დროს ქვეგანაყოფის მეთაურმა მეავტომატეთა ჯგუფები გამოიყვანა ფლანგებზე. ერთმა მთგანმა გაიარა გერმანელთა საბრძოლო წყებები და მიაღწია იმ გზას, რომელიც მოწინააღმდეგის უკანასკნელი გზის პარალელურად მიდის. მეავტომატეთა მეორე ჯგუფმა გერმანელთა ზურგში შეაღწია და ჩასაფრდა იმ ადგილებში, სადაც მოწინააღმდეგეს თავდაცვის საშუალედო ზღუდე ჰქონდა მომზადებული. ჰიტლერელები აქ ამარებდნენ შეჩერებას, უნდოდათ წესრიგში მოეყვანათ თავი და ორგანიზებულად დახვედროდნენ შემტევს ჩვენს ქვეგანაყოფებს. მაგრამ მტერს დაასწრეს და თავს მოახვიეს ბრძოლა მისთვის არახელსაყრელ პირობებში. თავზარდაცემულმა გერმანელებმა გზატეხილზე გადაუხვიეს და ამ ადგილ ჩვენს ჩასაფრებულთ წააწყდნენ, გადაუხვიეს პარალელურ გზაზე, მაგრამ აქაც გამანადგურებელ ცეცხლში მოჰყვნენ. ამ სწრაფ, მაგრამ კარგად მოფიქრებულ და გაბედულად განხორციელებულ შეტაკებაში კრავჩენკოს ქვეგანაყოფის მებრძოლებმა გაანადგურეს რიცხობრივად ჭარბი მტერი, ხელთ იგდეს დიდძალი დავლა და მრავალი ტყვე.

შემტევი ჩვენი ნაწილები ყოველი მხრიდან ურტყამენ გარშემორტყმულ მტერს. ზურგიდან კი მტრის წინააღმდეგ მოქმედებენ სახალხო შურისმგებლები — დნეპრისპირის პარტიზანები. ისინი გიბედოლად ეხლიან თავს გერმანელთა გარნიზონებს, უსაფრთხებენ მტერს, არღვევენ მის კავშირგაბმულობას, დეზორგანიზაციი შეაქვთ ზურგში, ანადგურებენ შტაბებს, მუდმივ დაძაბულობაში ყავთ ფაშისტები.

ჰიტლერელთა სარდლობა თავს არ ანებებს ცდებს — გაარღვიოს რკალი და გამოიჭრას გარშემორტყმული დაჯგუფებისაკენ. აქ მოჰყავთ რეზერვები, აქ წინდებებრად არა სწყდება ტანკებისა და ქვეითი ჯარის გაგზავნილი კონტრიერიშები. გერმანელებმა შპოლის სამხრეთით ერთ-ერთი უბანზე თავი მოუყარეს 90-მდე ტანკს და 5 ნაწილს ქვეგანაყოფთა წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ისინი. რამდენიმე საათს გაგრძელდა ბრძოლა, რომლის შედეგადაც საბჭოთა მეომრებმა მოსპეს მტრის 20 ტანკი. მტერს კი არც ერთი მტკაველი მიწა არ დაუთმეს.

ერთი დღით ადრე გერმანელებმა ერთ-ერთ უბანზე 130-მდე ტანკს და არტილერიას მოუყარეს თავი და ავრეთვე ცდილობდნენ სამხრეთიდან გაეკაფათ გზა გარშემორტყმული ნაწილებისაკენ. მათ ზედიზედ მოჰქონდათ კონტრიერიშები. ჩვენმა არტილერისტებმა, ჯავშანმტრფველებმა და ქვეითებმა ჩაშალეს მტრის ანგარიში. გერმანელებმა დღე-ღამის განმავლობაში დაჰკარგეს 32 ტანკი. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი და იძულებული გახდნენ შეესუსტებინათ მოძალება, ისე რომ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

გარშემორტყმული მტრის შეუპოვრობა, როგორც ამას უკანასკნელი დღეები გვიჩვენებენ, მხოლოდ მისი ზარალის გადიდებას იწვევს. ტყვეები მოგვითხრობენ იმ დიდი სიძნელეების შესახებ, რასაც გარშემორტყმული ნაწილება განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერელები უაღრესად თავშვებით ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას, გერმანელები სურსათის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. „უკვე რამდენიმე დღეა პურს აღარ გვაძლევენ“, — ამბობს ზოგი ტყვე. „პროდუქტების ნორმაზე ამჟამად ლაპარაკიც ზედმეტია“, — ადასტურებენ სხვები. 544-ე პოლკის მე-3 ასეულის ეფრეიტორმა ოსკარ აფელტმა თავისი ნაწილის ზარალის შესახებ განაცხადა: „ამ უკანასკნელი დღეების ბრძოლების შედეგად ჩვენი პოლკი დაშალეს და იქიდან ერთი ბატალიონი შეადგინეს. მესამე ასეულიდან ამ ბატალიონში შევიდა მხოლოდ ასეულის მეთაური და 4 ჯარისკაცი. მალე ამ 4 კაციდან სამი მოჰკლეს, ხოლო მე—მეოთხე ტყვედ ჩავიკარდით“.

Ა. ᲛᲐᲚᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ზ. ᲝᲣᲗᲐᲠᲝᲕᲩᲘ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „სანდი ტაიმსი“ მოწინავეში კომენტარს უკეთებს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატების გარდაქმნის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ ინგლისში თავს იჩენს გარკვეული ტენდენცია — დაეთანხმონ იმ თვალსაზრისს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებისთვის მინიჭებული ახალი უფლებამოსილობა მოსაწყალებს განვითარებას სწორი მიმართულებით. „უეჭველია, — განაგრძობს გაზეთი, — ზოგიერთ წრეში თავს იჩენს შეშფოთება ამ პოლიტიკის შესაძლებელ მიმართულებათა გამო, რომელთაც ჩვენ არ შეგვიძლია მოვეკიდოთ კეთილგანწყობილად. მაგრამ ასეთი შეშაძლებლობის შესახებ არ არსებობს არავითარი მონაცემები და, მაშასადამე, მას მხედველობაში ვერ მივიღებთ ვერავითარ სერიოზულ და დასაბუთებულ მიმოხილვაში. როგორც დღეანდელი დღის თვალსაზრისით, ისე შორეული მომავლის თვალსაზრისითაც ფართო უფლებამოსილობის ეს მინიჭება პოლიტიკურად ბრძნული სჩანს“.

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „რუსეთმა კვლავ დაგვანახა თავისი მამაცობა. ამჟამად ეს მამაცობა გამოვლინდა არა ბრძოლის ველზე, რომელზედაც მისმა წარმატებებმა უკვე დიაპყრო ჩვენი გონება, არამედ ადამიანის უფლებათა დარგში. საბჭოთა ტერიტორიიდან დამპყრობლების განდევნამდე უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები წარმოადგენენ იმის ნიშანს, რომ რუსეთი უაღრესად არის დარწმუნებული თავის საკუთარ ძალებში, თავის პოლიტიკურ სისტემაში, თავის მრავალრიცხოვან ხალხთა ლოიალობაში და იმაში, რომ მათთვის შესაძლებელია შეუფუყვეტელი განვითარება კიდევ უფრო მეტი დემოკრატიის მიმართულებით“.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲕᲘᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲪᲔᲠᲘᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 6 თებერვალი. (საკდესი). ამ დღეებში კაიროში მყოფნი იუგოსლავიის მთავრობის მეთაურმა ბ-ნმა პურიჩმა ამ მთავრობასთან აკრედიტებულ საბჭოთა ელჩს გადასცა წერილი, რომელიც, ბ-ნ პურიჩის აზრით, როგორც სჩანს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ბ-ნ პურიჩის განცხადებით, აღნიშნული წერილი ეკუთვნის საბჭოთა სამხედრო ტყვეების ჯგუფს, რომლებიც გერმანელთა ბანაკებიდან გაიქცნენ და მოხვდნენ გენ. მიხაილოვიჩის ჩეტნიკების რაზმებში, მიხაილოვიჩისა, რომელსაც სამხედრო მინისტრის პოსტი უკავია ბ-ნ პურიჩის კაბინეტში. წერილის ავტორები, წინააღმდეგ საერთოდ ცნობილი ფაქტებისა იმის შესახებ, რომ გენერალი მიხაილოვიჩი იბრძვის იუგოსლავიელ პარტიზანთა წინააღმდეგ და მას კავშირი აქვს ნიდიჩელებთან და გერმანელებთან, აგრეთვე მისი პროფაშისტური ტენდენციების წინააღმდეგ, თითქოს დიდი ქებანი ისხენიებენ მიხაილოვიჩს და „სერბი ხალხის ბელადს“ უწოდებენ მას. ამავე დროს წერილის ავტორები მკვეთრად ილაშქრებენ იუგოსლავიის სახალხო-განთავისუფლებელი არმიის მეთაურ მარშალ ტიტოს წინააღმდეგ ისეთი სიტყვებით, რომელთა სიყალბეც თვალში ხვდება ადამიანს.

წერილის შინაარსის პრიმიტიულობა ცხადჰყოფს გენერალ მიხაილოვიჩის რეაბილიტაციის ასეთი ცდების მთელ უხეშობას.

საბჭოთა ელჩმა ეს წერილი დაუბრუნა ბ-ნ პურიჩს და აღნიშნა, რომ ამ წერილში მოყვანილი მტკიცებები „ჭეშმარიტ დაუჯერებელია.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(100 წელი დაბადებიდან)

1784 წ. 5 თებერვალს ქ. სიმბირსკში დაიბადა მიხეილ ბარათაშვილი. მამა-მისი იყო სიმბირსკის გუბერნატორი გენერალ-პორუჩიკი პეტრე მელქისედეკის-ძე ბარათაშვილი (ბარათაევი), რომლის მამა ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადასახლებული რუსეთში.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ძიხეილ ბარათაშვილი სამხედრო პირი იყო და მრავალი ლაშქრობის მონაწილე შეიქნა. იგი მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. ნაპოლეონის დიდი ლაშქრობის წინადღეგ რუსი ხალხის გმირულ ბრძოლაში მას ეაეკაკობა და გმირობა გამოუჩენია, რის დამადასტურებელი ორდენები, ჯილდოები და ნიშნები უხვად აშშვენებდნენ მის მკერდს.

სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ მშობლიურ სოფელ ბარათაევკაში (ქ. სიმბირსკის ახლო) დასახლდა. 1825 წ. იგი აირჩიეს თავად-აზნაურთა წინამძღოლად და 15 წელი დარჩა ამ თანამდებობაზე. ამან საშუალება მისცა დაახლოებოდა იმდროინდელ მოწინავე ადამიანებს. მეცნიერული ერუდიციის მქონე მ. ბარათაშვილი ჩაება დეკაბრისტულ მოძრაობაში, რისთვისაც იგი დაპატიმრებულ იქნა.

მაგრამ ბარათაევმა ამ პატიმრობას თავი მალე დააღწია. რეაბილიტაციის შემდეგ დაუბრუნდა სამოქალაქო სამსახურს და 1838 წ. ტაინის სოვეტნიკის ხარისხი მიიღო, ხოლო 1839 წ. ვამოიგზავნა საქართველოში საოლქო საბაჟოს მმართველად. ამ წლიდან ეყრება საფუძველი იმ დიდსა და საყურადღებო შრომას—„საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“, რითაც ეგზომ დასაფასებელი და პატივსაცემი სახელი და ხსოვნა მიხ. ბარათაშვილისა.

„მცირე ჟამს ყოფნამან უცხოსა და დიდმშვენიერსა სამყოფსა ქვეყანასა თქვენსა დაწერეა ჩემსა გრძნობა ყოველსა ადამიანსა, მისთვის რომელ მწირი ესე ვინმე და ყარიბი მამულსა თქვენსა მგონები პოვნისა ჭნოლოდ ჯვართა საფლავთა ზედა წინაპართა ჩემთა ვპპოვე ტრფიალის გულით შეფერა თქვენგან“-ო, — კრძალვით მიმართავს ის თავის შრომის შესავალში ქართველ ხალხს, რომელშიც მას გაჩდა „ჯვართა საფლავთა ზედა წინაპართა“ მრავალი ცოცხალი ნათესავ-
 აღმოაჩნდა. მათ შორის პირველი ადგილი ჩვენი დიდებული პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს ეკავა, როგორც მის ძველზე მახლობელ ნათესავს.

მ. ბარათაშვილმა თავისი შრომა გამოსცა (1844) პეტერბურგში, მისი ეგზემპლარი მელიტონს გამოუგზავნა და თან წერილიც მოსწერა (1846), რითაც სთხოვდა თქვენი შენიშვნები მოწერეთ ჩემი წიგნის შესახებო და ჩვენი ლიტერატურისათვის მნიშვნელოვან შემდეგ სიტყვებსაც დასძენდა: „მეტად გამახარებდა ჩვენი საერთო ხალვარელი თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძე, თუ თავის უხვის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთის ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ბარათაშვილები—ბატონიშვილები ოჯახის [illegible] სამეფოს [illegible] 5. ბარათაშვილი გარდაცვლილი იყო და ეს ეს საინტერესო ნაშრომი არ უნახავს. ბოლოდ მის ლექსთა კრებულში მისი „მოხუცი პაპის“ მოსაგონად დარჩა სამსტრიქონიანი ლექსი:

ამაესებ ღვინით, —
ამაესებ . ლხინით,
შესვი? გაამოს!

ეს ლექსი საქართველოს ანტიკვარიით და ნუმიზმატიკური ძეგლების ნიმუშებით გატაცებულ „ჰიბ. ბარათაევის ანარეფშეზედ“ წაუწერია ახალგაზრდა მგოსანს ჯერ კიდევ სწავლულის საქართველოში ყოფნისას. დასახელებული წერილის მოწერის შემდეგ არც ერთ. ბარათაევს უცოცხლია დიდხანს. იგი გარდაიცვალა 1856 წელს. მ. ბარათაშვილი იყო საქართველოს სტატისტიკური საზოგადოებისა და ჩრდილოეთის ანტიკვარიის დანიის საზოგადოების წევრი, რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების (რომლის საიუბილეო ალბომიდან ამოვიღეთ ბარათაევის აქ მოყვანილი პორტრეტი) ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

საქართველოში მ. ბარათაევმა სულ ოთხი წელი გაატარა. ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მოახერხა საქართველოს ფარგლებში მიმოფანტული ქართული ფულის მეტად ძვირფასი კოლექციისა და ექსპონატების შეკრება. აღსანიშნავია, რომ მან ქართულის გარდა აქვე შეაგროვა: არაბული, თურქული, ირანული, სომხური, ბერძნული და რომაული ფულების და სხვა ექსპონატების მეტად არა კოლექციები.

მ. ბარათაშვილის ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“ სწორედ 100 წლის წინათ—1844 წელს გამოქვეყნდა. მეცნიერებათა აკადემიამ მას დადებითი შეფასება მისცა, როგორც პირველსა და უდავოდ მეცნიერული ალღოთი და სიღინჯით შედგენილ წიგნს. 1847 წ. ცნობილი ისტორიკოსმა მ. ბროსეამ ამ შრომის მიხედვით შეადგინა თავისი გამოკვლევა „ქართული ნუმიზმატიკის შესახებ, ხოლო 1852 წ. ფრანგმა ნუმიზმატიკოსმა ლანგლუამ მ. ბარათაევის ამ ნაშრომზე დაყრდნობით დაამუშავა და გამოსცა თავისი გამოკვლევა „ქართული ნუმიზმატიკის ახალი მიმოხილვა“, სადაც ის აღნიშნავს, რომ „მ. ბარათაშვილის წიგნი შესანიშნავია ყველა დღემდე გამოცემულ შრომებს შორის ქართული ნუმიზმატიკის შესახებო“.

წიგნში დაკვირვებით არის აღწერილი ქართული ფულები „სასანოქართველთა, ანუ ხოსროიან-ივერიელთა“ ხანიდან საქართველოს უკანასკნელი მეფის დროამდე. ძეგლები წარმოდგენილია უაღრესად ფაქიზად შესრულებული ილუსტრაციებით, სადაც ნათელია და ფალსაჩინო ყოველი დეტალი და დამახასიათებელი შტრიხი დოკუმენტისა, მოცემულია მათი დაწერილებითი, ყოველმხრივი გამოკვლევა, ავტორისათვის ჩვეული სიღინჯითა და ფულისსმეერი აღწერით. ზუსტად გაშიფრულია ყოველი მათი წარწერა, დადგენილია თარიღები, ქართველ მეფეთა და მთავართა ვენეკი